Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

შვეიცარიის თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიის რეგიონი 2022-2025

შვეიცარიის თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში, 2022-2025 წწ.

სამხრეთ კავკასიაში პროექტების განხორციელება შვეიცარიამ 1988 წელს დაიწყო და მას შემდეგ თავისი საქმიანობა სულ უფრო გააფართოვა, განახორციელა რა პროექტები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში და ამ გზით ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარებას. შვეიცარია სანდო პარტნიორია განვითარების სფეროში და თანამშრომლობის საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტები აქვს. შვეიცარია, მისი ნეიტრალიტეტისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ასევე სანდო პარტნიორად მიიჩნევა კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მედიაციის სფეროებშიც.

სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების 2022-2025 წწ.-ის პროგრამა დასტურია იმისა, რომ შვეიცარია განაგრძობს რეგიონში მშვიდობიანი, ინკლუზიური და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბების მხარდაჭერას. უკვე მიღწეულზე დაყრდნობით შვეიცარია აპირებს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის განვითარებაში, განსაკუთრებული აქცენტი კი გაკეთდება სამი მიმართულებით: მმართველობა და მშვიდობა, ეკონომიკური განვითარება და დასაქმება და გარემო და კლიმატის ცვლილება. ამჟამინდელი 4-წლიანი პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი არის 80 მილიონი შვეიცარიული ფრანკი.

პროგრამის ზოგადი მიზანი

რეგიონში მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური და სოციალური განვითარებით, დემოკრატიული საჯარო ინსტიტუციებით, ადამიანის უსაფრთხოებით და მშვიდობით, აქვთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებთან გამკლავების უნარი - ეს ყველაფერი რეგიონულ დონეზე დიალოგითა და თანამშრომლობით მიიღწევა.

პროგრამას ერთად ახორციელებენ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო და მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილება. პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ინტენსიური კონსულტაციის საფუძველზე. პროგრამაში წარმოდგენილი მიმართულებები შეესაბამება როგორც პარტნიორი ქვეყნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, ისე 2021-2024 წწ.-ის შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიასა და მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის პრინციპებს.

2022-2025 წწ.-ის სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები

2022-2025 წლებში შვეიცარია სამხრეთ კავკასიის რეგიონს 4 ძირითადი მიმართულებით დაეხმარება და სიღარიბის დაძლევის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიურობისთვის სისტემურ მიდგომას გამოიყენებს. ყველა პროექტში იქნება გათვალისწინებული გენდერისა და კარგი მმართველობის საკითხები. ამასთან, შვეიცარიის პროგრამა სისტემატურად განიხილავს, თუ რა გავლენა აქვს პროგრამის საქმიანობას და, ასევე, რა გავლენას ახდენს თავად პროგრამაზე მიგრაცია, გარემო, დიგიტალიზაცია და მედია.

რეგიონში სამოქალაქო ჩართულობის, სამოქალაქო სივრცისა და თანამშრომლობის დაცვა და მხარდაჭერა

არასამთავრობო ორგანიზაციები და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა, კონფლიქტით დაზარალებულებისა და უმცირესობების ჩათვლით, ჩართული არიან როგორც საკუთარი ქვეყნების პოლიტიკის დისკურსსა და ოფიციალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისე რეგიონული ცოდნის დაგროვებასა და ერთობლივ ქმედებებში, რაც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და მშვიდობიანი, ინკლუზიური და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბებას, ასევე, ნდობის გაჩენასა და დიალოგს.

დემოკრატიისა და საჯარო ინსტიტუტების გაძლიერება

სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში საჯარო ინსტიტუტები, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, ეფექტურად მუშაობენ, არიან ინკლუზიური და პასუხისმგებელი ყველა მოქალაქისა და უფლების მქონის მიმართ. ეს ინსტიტუტები იცავენ ადამიანის უფლებებს და კანონის უზენაესობას.

ეკონომიკური განვითარების გაუმჯობესება და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა

სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებსა და სოფლის მეურნეებს უკეთესი შემოსავალი აქვთ და მეტ სამუშაო ადგილსაც ქმნიან, რადგან ისინი მუშაობენ უკეთეს ბიზნესგარემოში და ხელი უკეთ მიუწვდებათ კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, დივერსიფიცირებულ ბაზარსა და მომსახურებაზე, ასევე - ფინანსებზე.

კლიმატის ცვლილებების მიმართ მედეგობის გაძლიერება და რესურსების მდგრადი განვითარება

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, აკადემიური წრეები და კერძო სექტორი, რეგიონულ შეხვედრებსა და პლატფორმებში მონაწილეობითა და კლიმატზე ზრუნვის ქმედებებისა და რესურსების მდგრადი მართვის სწავლით, მნიშვნელოვან შედეგებს იღებენ გარემოს დაცვის მიმართულებით და წვლილიც შეაქვთ გლობალურ გარემოსდაცვით პოლიტიკაში.

2025 წლისთვის მიღწეული გრძელვადიანი შედეგები

რეგიონში სამოქალაქო ჩართულობის, სამოქალაქო სივრცისა და თანამშრომლობის დაცვა და მხარდაჭერა

- ქალთა გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში გამყარებულია შესაბამისი პოლიტიკით, ცენტრალური და ადგილობრივი აქტორების შესაძლებლობების ზრდით და კერძო სექტორის მხრიდან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობით.
- დემოკრატია, დემოკრატიული ფასეულობები და ადამიანის უფლებები გაძლიერებულია პლურალისტური, ინოვაციური და თანამონაწილეობითი კულტურული სექტორის, დიალოგისა და გაცვლის საშუალებით.
- უმცირესობები უფრო ჩართული არიან და მონაწილეობენ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო მექანიზმების დახმარებით.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ ნდობის აღდგენასა და დიალოგში და წვლილი შეაქვთ კონფლიქტის ტრანსფორმაციის სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავებაში.
- ხელშეწყობილია იდეებისა და საქონლის გაცვლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, ასევე, ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა ადამიანებს შორის. გაიზარდა ტრანსსასაზღვრო ბაზრების კავშირი.
- გამყარებულია პარტნიორობა რეგიონულ ორგანიზაციებთან.
- ხელშეწყობილია დამოუკიდებელი მედია და გამოხატვის თავისუფლება.

დემოკრატიისა და საჯარო ინსტიტუტების გაძლიერება

- საჯარო ფინანსების მართვა უფრო ეფექტური, პროგნოზირებადი და მდგრადია; სესხის მართვა გაუმჯობესებულია და ფინანსური სექტორის სტაბილურობა - მიღწეული.
- ხელშეწყობილია ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა, მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება; წახალისებულია აქტიური სამოქალაქო ჩართულობის პრაქტიკა, ქალების, უმცირესობებისა და უგულებელყოფილი ჯგუფების ჩათვლით.
- დასრულებულია ადგილობრივი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეფორმა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა/დეცენტრალიზაცია.
- კორუფციის აღმოსაფხვრელად ხელშეწყობილია მონაწილეობითი დემოკრატია, ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომები და კანონის უზენაესობის რეფორმები.
- გაძლიერებულია დემოკრატიული პროცესები და ძალის გამოყენების გარეშე კონფლიქტის მოგვარების მექანიზმები.

ეკონომიკური განვითარება და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა

- სოფლის მეურნეობის სფეროში უფრო პროდუქტიული და ეკოლოგიური გახდა ფასეულობათა ჯაჭვები, როგორიცაა, მაგალითად, აგროტურიზმი.
- კერძო სექტორი აქტიურად არის ჩართული პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების განვითარებას.
- გაძლიერდა მაკროეკონომიკური გეგმის შედგენისა და საჯარო ინვესტიციის მართვის უნარები.
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური განათლება და მართვის შესაძლებლობები/უნარები გაუმჯობესებულია და ფინანსებსა (როგორიცაა საბანკო სესხი) და ბაზრებზე წვდომა გაზრდილია. გაუმჯობესებულია საინვესტიციო გარემო და ბიზნესგარემო.
- გაზრდილი შესაძლებლობები საშუალებას აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობებს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში. ადგილობრივი მოსახლეობა, ქალების ჩათვლით, და მცირე და საშუალო საწარმოები სარგებლობენ ხელმისაწვდომი ციფრული საჯარო მომსახურებით.
- ახალი სამუშაო ადგილი და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ამცირებს ემიგრაციას.

კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გაძლიერება და რესურსების მდგრადი მართვა

- გაძლიერდა მოწყვლადი მოსახლეობის, თემისა და რეგიონის შესაძლებლობა/უნარი გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს და ბუნებრივ კატასტროფებს. ამისათვის შემუშავდა მრავალმხრივი საფრთხეების რისკების სისტემა, რომელიც აწარმოებს მონიტორინგს, ახდენს კატასტროფის მოდელირებას და წინასწარ პროგნოზირებას.
- გახშირდა ქმედებაზე ორიენტირებული კვლევა და პოლიტიკის შესახებ კონსულტაციები. შემუშავდა კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი.
- კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების დღის წესრიგი დაკავშირებულია ეკონომიკურ ზრდასთან.
- რეგიონში ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მთის მდგრადი განვითარების საკითხების ადვოკატირება მეცნიერთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მხრიდან წახალისებულია. ტრანსსასაზღვრო ტექნიკური თანამშრომლობა ხელშეწყობილია.
- ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და მოქალაქეებმა მიიღეს რესურსების, განსაკუთრებით ტყის, მდგრადი მართვის პრაქტიკული გამოცდილება და ამით შექმნეს შემოსავლის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

2017-2021 წწ.-ის თანამშრომლობის სტრატეგიის შედეგები მოკლედ

სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში დასაქმდა 1500 ქალი. აზერბაიჯანში ქალებისთვის გაიხსნა 3 რესურსცენტრი; სომხეთსა და საქართველოში დაიწყო რეგულირების ეფექტის შეფასება.

1.5 მილიონ მოქალაქეზე მეტი საქართველოსა და სომხეთში იღებს გამჭვირვალე და კვალიფიციურ ონლაინ საჯარო მომსახურებას.

აზერბაიჯანში გაიხსნა ორი ფინანსური დაწესებულება - კერძო საკრედიტო ბიურო და მოძრავი ქონების რეესტრი, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოსა და ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებას.

საქართველომ და სომხეთმა შეიმუშავეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტები: დეცენტრალიზაციის სტრატეგია, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგია და კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

საქართველოსა და სომხეთის 100-ზე მეტმა მცირე და საშუალო საწარმომ დახმარება მიიღო რძის, ხორცის, მატყლისა თუ თაფლის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვში ახალი პროდუქტისა თუ ბრენდის შესაქმნელად.

საქართველოსა და სომხეთში სოფლის მეურნეობაში ჩართული 125 000 ადამიანის სუფთა შემოსავალი 10-30%-ით გაიზარდა.



სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში პარტნიორ უნივერსიტეტებში შემუშავდა კატასტროფის რისკის მართვის დისტანციური სწავლის მოდული.

კულტურული მრავალფეროვნებისა და რეგიონში არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში 37 მცირე პროექტი დაფინანსდა.

შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში

შვეიცარიის საელჩო სომხეთში
მელიკ ადამიანის ქუჩა 2/1
0010 ერევანი, სომხეთი
ტელეფონი: +374 10 52 98 60
ელ.ფოსტა: yerevan@eda.admin.ch
ვებ-გვერდი: www.eda.admin.ch/armenia
ფეისბუკის გვერდი: https://www.facebook.com/SwissEmbassyYerevan

შვეიცარიის საელჩო აზერბაიჯანში
იჩარი შაჰარ (ძველი ქალაქი) ბოიუკ გალას ქუჩა 9
1004 ბაქო, აზერბაიჯანი
ტელეფონი: +994 12 437 38 50
ელ. ფოსტა: baku@eda.admin.ch
ვებ-გვერდი: www.eda.admin.ch/azerbaijan
ფეისბუკის გვერდი: https://www.facebook.com/SwissEmbassyBaku

შვეიცარიის საელჩო საქართველოში
რადიანის ქუჩა 12
0179 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 75 30 01/02
ელ. ფოსტა: tbilisi@eda.admin.ch
ვებ-გვერდი: www.eda.admin.ch/georgia
ფეისბუკის გვერდი: https://www.facebook.com/SwissEmbassyTbilisi